

მანანა ჯავახიშვილი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

საქართველო და დასავლეთი ევროპა
XIV საუკუნის დასაწყისში
(გვიანი ჯვაროსნული ლაშქრობა)

საკვანძო სიტყვები: შუა საუკუნეები; გვიანი ჯვაროსნული ლაშქრობები; ქართულ-ევროპული ურთიერთობები; გიორგი V ბრწყინვალე, ფილიპე VI ვალუა.

საქართველოსა და ევროპის ურთიერთობები განსაკუთრებით საინტერესო ხდება მაღალი შუა საუკუნეებში პერიოდში, როდესაც ქრისტიანული საქართველო და დასავლეთ ევროპა მუსლიმანური აღმოსავლეთის წინააღმდეგ ბრძოლამ დააკავშირა. ერთი მხრივ, მაჰმადიანთაგან შევიწროვებული საქართველო დახმარებას დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ეძებდა. ხოლო, მეორე მხრივ, ქრისტიანულ ევროპას საქართველო ისლამური აღმოსავლეთის წინააღმდეგ მოკავშირედ წარმოედგინა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების მიერ XI საუკუნის ბოლოს დაწყებული ჯვაროსნული ლაშქრობები მახლობელ აღმოსავლეთში XIII საუკუნის ბოლოსთვის სრულდება. მოგვიანებით, XIV-XV საუკუნეებში ევროპელი ქრისტიანები ცდილობენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ კოალიციების ჩამოყალიბებას, ჯვაროსნული ლაშქრობების ორგანიზებას, რასაც გვიან ჯვაროსნულ ლაშქრობებსაც უწოდებენ.

ერთ-ერთი ასეთი კოალიციის შესახებ მოგვითხრობს გიორგი ბრწყინვალის (1314-1346) მიწერილი წერილი (პასუხი) საფრანგეთის მეფის – ფილიპე VI (1328-1350) ვალუასადმი. ამ წერილის შესახებ ქართველმა მკვლევრებმა ისტორიკოს ვაჟა კიკნაძის პუბლიკაციიდან შეიტყვეს [კიკნაძე 1983:158-163]. ავტორი ნაშრომში ჯ. გოლუბოვიჩის მიერ გამოქვეყნებულ გიორგი ბრწყინვალის წერილს გვაცნობს [გოლუბოვიჩი 1919:414-415]. გოლუბოვიჩმა ეს მასალა ფრანცისკელთა არქივის შესწავლისას აღმოაჩინა. ჯ. გოლუბოვიჩის მიკვლევულ წყაროს იმოწმებენ ასევე ჯვაროსანთა ეპოქის დასავლელი მკვლევრები უ. რიშარი [1998:54] და ს. ტაიერმანი [1985:47].

რომელ ისტორიულ მოვლენასთან არის დაკავშირებული გიორგი ბრწყინვალის წერილი? საქმე ეხება საფრანგეთის მეფის, ფილიპე ვალუას გადაწყვეტილებას ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების შესახებ ეგვიპტის სულთნის მუჰამედ ან ნასერის (1292-1340)¹ წინააღმდეგ. აღმოსავლეთში მოკავშირეებად საფრანგეთის მეფემ ილხანთა ყაენი აბუ საიდი (1317-1335)² და საქართველოს მეფე გიორგი V მიიწვია. მან ფრანგი მისიონერი გაგზავნა თავრიზში, რათა იქ ფრანცისკელთა პრიორს და ლათინ ვაჭართა თავს დაკავშირებოდა მეფის წერილებისა და საჩუქრების გადასაცემად. ფრანცისკელებმა გადაწყვიტეს აბუ საიდი გამოერიცხათ ამ ლაშქრობიდან, რადგან 1323 წელს ალექსოში ილხანებმა ზავი დადეს ეგვიპტის სულთანთან ოქროს ურდოს აგრესიის წინააღმდეგ გასაერთიანებლად. დარჩა საქართველოს მეფე. 1332-1333 წლებში თბილისში ჩამოდიან ფრანგი მისიონერები: რიშარ (რიკარდო) მერსიე (მერჩერი) და ალექსანდრე ინგლისელი, რომლებმაც გიორგის კარზე ორი თვე დაყვეს, თუმცა უცნობია, მიაღწია თუ არა საქართველოს მეფის პასუხმა ადრესატამდე [გოლუბოვიჩი 1919:415].

ამ მნიშვნელოვანი დოკუმენტის (გიორგი ბრწყინვალის წერილის) გაცნობის შემდეგ გადავწყვიტე, გავცნობოდი იმ პერიოდის ისტორიულ კონტექსტს, კერძოდ, შემესწავლა, რას გულისხმობდა ფილიპე ვალუას ინიციატივით დაგეგმილი ჯვაროსნული ლაშქრობა: რამ გამოიწვია? რა მიზნით დაიგეგმა? როდის დაიგეგმა? ვინ მონაწილეობდა ამ წამოწყებაში? როგორ მიმდინარეობდა სამზადისი? რამ შეუშალა ხელი მის განხორციელებას? და, რაც ყველაზე მთავარია, შემეცადა ამეხსნა ქართული ისტორიოგრაფიისათვის ნაკლებად ცნობილი, თუმცა ძალიან საინტერესო საკითხი: რატომ გადაწყვიტა საფრანგეთის მეფემ საქართველოს ჩაბმა ამ პროცესში? რატომ გახდა საქართველო საინტერესო დასავლეთ ევროპული ქვეყნებისათვის სწორედ ამ გვიანი ჯვაროსნული ლაშქრობისას? დაბოლოს, რა ინტერესი ჰქონდა თავად საქართველოს ამ ლაშქრობაში მონაწილეობით?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ევროპული წყაროებისა და საკითხთან დაკავშირებული სამეცნიერო კვლევების გაცნობას შევუდექი.

1 ეგვიპტის მამლუქი სულთანი, იგი სამჯერ ავიდა ტახტზე 1293-1294; 1299-1309; 1309-1334 წლებში.

2 იგი ჰულაგუიანთა დინასტიის წარმომადგენლი იყო.

ჯვაროსნული ლაშქრობების იდეოლოგია: სამართლიანი ომიდან საღვთო ომისკენ

ჯვაროსნული ლაშქრობები ორ ტრადიციას, ორ იდეას აერთიანებდა: მომლოცველობისა და „საღვთო ომის“ იდეას. ქრისტიანული იდეა იმის შესახებ, რომ ადამიანი არის მოგზაური (peregrinus) ამქვეყნად, აისახებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობაში. ჯვაროსნული ლაშქრობები მომლოცველობის აღთქმას (votum peregrinationis) ჯვრის აღთქმით (votum crucis) ცვლიდა. ჯვაროსნული ლაშქრობა იყო შეიარაღებული მომლოცველობა. ჯვაროსნებს ყოველთვის თან ახლდათ პაპის ლეგატები, კლერიკალები. ჯვაროსნული ლაშქრობა პაპის სპეციალური ბუღით ცხადდებოდა.

თავდაპირველად ეკლესია ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ ილაშქრებდა, მაგრამ ნელ-ნელა მან შეცვალა თავისი პოზიცია და ჩამოაყალიბა თეორია სამართლიანი ომის შესახებ, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობოდა ნეტარი ავგუსტინეს თეორიას სამართლიანი და უსამართლო ომების შესახებ. ავგუსტინემ აღნიშნული თეორია განავითარა თავის ცნობილ ნაშრომში „ღვთის ქალაქის შესახებ“, რომელიც 413-426 წლებშია შექმნილი [ავგუსტინე 1955]. ამ თეორიის თანახმად, სამართლიანი ომი ეკლესიის სახელით იმართებოდა, ქრისტიანობის დასაცავად, უსამართლო კი – ქრისტიანებს შორის. ქრისტიანებს სამართლიან ომად მიაჩნდათ წარმართების ან მუსლიმანების (რომლებსაც ასევე წარმართებს მიაკუთვნებდნენ) წინააღმდეგ ბრძოლა [ფლორი 1999:35].

საღვთო ომის იდეა ნელ-ნელა ყალიბდება ევროპაში, ამაზე მიუთითებს თუნდაც წმინდა მარტინის, წმინდა დიმიტრის, წმინდა გიორგის კულტი. ესპანეთში მიმდინარე რეკონკისტასაც კონფესიული ელფერი მიეცა. ომის იდეოლოგიის ევოლუციაში ასევე დიდი როლი შეასრულა X-XI საუკუნეში მიმდინარე კლუნიურმა მოძრაობამ, რომლის მიზანიც ეკლესიის რეფორმირება იყო პაპობისა და კათოლიკური ეკლესიის გაძლიერებისათვის. რეფორმატორთა აზრით, ქრისტიანების მიერ წარმოებული ომების ამოცანა იყო კათოლიკური ეკლესიის წიაღში დაებრუნებინა ძველი ქრისტიანული მიწები, რომელიც, ტრადიციულად, წმ. პეტრეს კუთვნილებას წარმოადგენდა. იქმნებოდა ე.წ. „პეტრეს ჯარი“, რომელშიც ერთიანდებოდნენ აბატები, ბერები, ეპისკოპოსები. გაჩნდა წმინდა პეტრეს დროშა, სამხედრო დროშა, როგორც ურჯულოთა წინააღმდეგ ბრძოლის სიმბოლო. ბრძოლის ველზე დაღუპულები ქრისტიანობისთვის წამებულებად განიხილებოდნენ, რომლებიც უცილობლად სამოთხეში მოხვდებოდნენ, ხოლო გადარჩე-

ნილებს ცოდვები მიეტევებოდათ. სწორედ ამგვარი ხედვა აყალიბებდა ჯვაროსნული ომების იდეოლოგიას [გურევიჩი 2003:235-236].

ამდენად, სამართლიანი ომის იდეა (*bellum justum*) საღვთო ომის იდეით (*bellum sacrum*) შეიცვლა. ამ იდეის განხორციელების კულმინაციაა ჯვაროსნული ლაშქრობა პალესტინაში. ქრისტიანებს უნდა გამოეხსნათ „ქრისტეს მემკვიდრეობა“ ურჯულოთაგან, რომელიც თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ.

ფილიპე ვალუა და გვიანი ჯვაროსნული ლაშქრობა

XIV საუკუნის პირველ ნახევარში, 30-იანი წლების დასაწყისში, უფრო ზუსტად, 1331-1336 წლებს შორის, რომის პაპისა და საფრანგეთის მეფის, ფილიპე VI ვალუას ინიციატივით, დასავლეთ ევროპის მეფენი და ღიდებულები ჯვაროსნულ ლაშქრობას გეგმავენ მაჰმადიანთა წინააღმდეგ [ტაიერმანი 1985:25]. მიუხედავად იმისა, რომ XIII საუკუნის ბოლოსათვის ჯვაროსნული ლაშქრობები დასრულდა, ევროპა არ დამშვიდობებია ჯვაროსნული ლაშქრობების იდეას, რომელიც ხშირად განუხორციელებელი რჩებოდა.

XIII ს-ის ბოლოსათვის აღმოსავლეთში ვითარება დაიძაბა. ეგვიპტის სულთანმა კალაუნმა (1280-1290) 1289 წელს ტრიპოლი აიღო და ქალაქის ყველა მამაკაცი ამოჟლიტა, ქალები და ბავშვები კი ტყვეებად გაყიდა. მისმა ვაჟმა – ჰალილმა (1290-1294) კი 1291 წელს აიღო ქალაქი აკრა, დაანგრია სიმაგრეები: ბეირუთი, ტირი, სიდონი და ხაიფა. ჯვაროსანთა ციხე-სიმაგრეები დაეცა [რიშარი 1995:885].

წმინდა მიწის ურჯულოთაგან გამოხსნა ევროპელ ქრისტიანთა მოვალეობად იქცა. 1274 წელს ლიონის მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე პაპი გრიგოლ X (1271-1276) ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზების აუცილებლობაზე საუბრობდა, ხოლო 1291 წელს კი, აკრის აღების შემდეგ, ეს იდეა უფრო აქტუალური გახდა [რიშარი 1995:883].

ჯვაროსნული ლაშქრობების იდეა ავინიონელმა პაპებმაც აიტაცეს. სელჩუკი მეკობრეების რაოდენობის ზრდა ეგეოსის ზღვაზე, სირიელი მამლუქების თავდასხმები კვიპროსზე და კილიკიის სომხეთზე აღაშფოთებდა პაპი იოანე XXII-ის გარემოცვას. იტალიელმა მარინო სანუდომ ფილიპე VI ვალუას მიუძღვნა ტრაქტატი („ჯვრის საიდუმლოებათა ერთგულები“),³ რომელშიც ავითარებდა აზრს ჯვაროსნული ლაშქრობის აუცილებლობაზე. ფილიპე ვალუაც ისე, როგორც წმინდა ლუი IX ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ოცნებობდა [ტაიერმანი 1985:26; კაზელი 1958:97]. ამავე პერიოდში როჟე დე სტავენმა ლონდონში შექმნა

3 „Secreta fidelium crucis“

თხზულება („წმინდა მიწის დაპყრობა“),⁴ რომელშიც ინგლისის მეფეს მიმართა ჯვაროსნული ომის დაწყების თხოვნით [პერუა 1945:124].

XIV საუკუნის დასაწყისში, 1309-1310 წლებში პირველმა ავინიონელმა პაპმა კლიმენტ V-მ (1305-1314) დასვა ჯვაროსნული ლაშქრობის წამოწყების საკითხი, რომელიც შემდგომ იოანე XXII-მ (1316-1334) განაგრცო [რიშარი 1995:884].

საფრანგეთის მეფეები, ფილიპე V გრძელი (1316-1322) და შარლ IV ლამაზი (1322-1328) ცდილობდნენ აღმოსავლეთის ქრისტიანების დახმარებას [ვიარი 1936:306]. ამ მიზნით შარლ IV ლამაზმა ელჩი – გიომ დე ბონ-მენი გაგზავნა ეგვიპტის სულთანთან. 1323 წელს საფრანგეთის მეფემ და იოანე XXII-მ ჯვაროსნული ექსპედიცია დაგეგმეს. 1328 წელს პაპმა იერუსალიმის პატრიარქი, რეიმონ ბეგუენი, ეგვიპტეში გაგზავნა, რათა დაერწმუნებინა მამლუქები, წმინდა მიწა ქრისტიანებისათვის დაებრუნებინა [ფავიე 2006:491-493]. ევროპელები 1328-1330 წლებშიც აგრძელებენ ეგვიპტის სულთანთან ალ-ნასირთან (1292-1340) მოლაპარაკებას წმინდა მიწაზე ევროპელთა ყოფნა-არყოფნის თაობაზე. როგორც ჩანს, ან-ნასირი სიცილიის მეფეს იერუსალიმში ფრანცისკელთა მონასტრის შენარჩუნებაზე დათანხმდა [რიშარი 2010:485]. გამეფებისთანავე ჯვაროსნული ლაშქრობის იდეა მნიშვნელოვანი გახდა საფრანგეთის მეფის, ფილიპე VI (1328-1350) ვალუასათვისაც. იგი პაპებთან, ჯერ იოანე XXII-თან და შემდგომ ბენედიქტ XII-თან (1334-1342) ერთად იწყებს ეგვიპტის წინააღმდეგ ექსპედიციის მზადებას.

რა ცნობებს გვაწვდის ევროპული ისტორიული წყაროები ფილიპე ვალუას მიერ ორგანიზებულ ლაშქრობასთან დაკავშირებით?

ამ კუთხით მნიშვნელოვანია ასწლიანი ომის მემკვიდრის ჟან ფრუასარის (დაახ. 1337-1404) ცნობები. ფრუასარი წარმოშობით ენოს საგრაფოდან⁵ იყო, რომელიც იმ დროს საღვთო რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. ენოს საგრაფოს რაინდები ასწლიან ომში ხან საფრანგეთის, ხანაც ინგლისის მხარეზე იბრძოდნენ. ფრუასარი ქრონიკოსი და პოეტია. იგი ინგლისის მეფის, ედუარდ III-ის ცოლის, ფილიპას, ენოს გრაფის ქალიშვილის, პირადი მდივანი იყო. ფრუასარი ქრონიკების წერას XIV საუკუნის 70-იან წლებში შეუდგა. მან მოვლენების თვითმხილველები გამოკითხა და შეგროვილი წყაროების საფუძველზე შექმნა თავისი ქრონიკა. თხზულება ოთხი წიგნისაგან შედგება და მოიცავს 1325-1400 წლების ამბებს, ასწლიანი ომის დასაწყის ეტაპს [ფრუასარი 2009].⁶

4 “Le conquest de la Terre Sainte”

5 დღევანდელი ჰენეგაუ.

6 ფრუასარის ქრონიკების სამი ძირითადი რედაქცია არსებობს: ამიენის ხელნაწერი, A/B ოჯახის ხელნაწერი და რომაული ხელნაწერი. ამიენის ხელნაწერი

ამ საკითხს ეხება აგრეთვე დიდი ფრანგული ქრონიკები [ვიარი 1937],⁷ პირველი ოთხი ვალუას ქრონიკა [ლუსი 1862]⁸ და ფლანდრიული ქრონიკა [მალინინი 2005:131]. ეს უკანასკნელი აღწერს ფრანგულ-ფლანდრიულ ისტორიას 1322-1340 წლებში, შექმნილია ანონიმი ავტორის მიერ ფრანგულ ენაზე. ეს წყაროც ეხება ფილიპეს ლაშქრობას.

ფილიპე ვალუას ჯვაროსნული ექსპედიციის შესახებ აღნიშნულ წყაროებში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კვლევისათვის საჭირო შემდეგი საკითხები გამოიკვეთა:

ლაშქრობის ინიციატორები და მონაწილე მხარეები

რამდენადაც ამ პერიოდში, XIV საუკუნის დასაწყისში, რომის პაპები საფრანგეთის მეფის დაქვემდებარებაში იყვნენ (ეს იყო ე.წ. „ავინიონის ტყვეობის“ პერიოდი), ისინი ყველა მნიშვნელოვან საკითხს სწორედ მას უთანხმებდნენ. პაპმა იოანე XXII-მ ეს საკითხიც საფრანგეთის მეფე ფილიპე VI-ს მოახსენა, რომელიც მალე ამ წამოწყების ინიციატორი გახდა [ლუსი 1862:124].⁹

საფრანგეთის მეფემ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად მიმართა საფრანგეთის დიდებულ სენიორებს [ფრუასარი 2009:315]. ფილიპემ უნგრეთის,¹⁰ კვიპროსისა¹¹ და გერმანიის¹² მეფეებს სთხოვა, უზრუნველყოთ თავიანთ ქვეყნებზე უსაფრთხოება ჯვაროსანთა მსვლელობის დროს. ლაშქრობაში მონაწილეობას გეგმავდნენ აგრეთვე სიცილიისა და ნეაპოლის,¹³ ბოჰემიის,¹⁴ არაგონისა¹⁵ და ნავარის,¹⁶

მოიცავს 1325-1378 წლების ამბებს და უფრო პროფრანგული განწყობითაა შექმნილი, ხოლო A/B ოჯახის ხელნაწერი (იწყება 1350 წლების ამბებით) – უფრო პროინგლისური. რომის ხელნაწერი ყველაზე გვიანდელია, 1400-1410 წლებში დაწერილი. ფილიპე ვალუას მიერ დაგეგმილ ჯვაროსნულ ლაშქრობაზე ფრუასარი სამივე რედაქციაში მოგვითხრობს.

7 დიდი ფრანგული ქრონიკები მოიცავს საფრანგეთის მეფეთა ისტორიას 1461 წლამდე (მეროვინგების, კაროლინგებისა და კაპეტინგების მმართველობის ხანას).

8 პირველი ოთხი ვალუას ქრონიკის (1327-1393) ავტორი უცნობია. ავგიწერს 1327-1393 წლების საფრანგეთის ისტორიას.

9 პირველი ოთხი ვალუას ქრონიკის მიხედვით, პაპი იოანე XXII ყველა ქრისტიან მმართველს მოუწოდებდა, რომ ფილიპე ვალუა ლაშქრობის მთავარსარდალი გამხდარიყო.

10 უნგრეთის მეფე – ლუდოვიკო I დიდი (1326-1382), ანჟუელთა დინასტიიდან, 1324-დან უნგრეთის მეფე, 1370-დან პოლონეთის მეფე.

11 კვიპროსის მეფე – ჰუგო დე ლუზინიანი (1324-1360)

12 გერმანიის მეფე – ლუდვიგ ბავარიელი (1328-1347)

13 სიცილიის და ნეაპოლის მეფე – რობერტი I (1309-1343)

14 ბოჰემიის მეფე – იოანე I (1310-1346)

15 არაგონის მეფე – პედრო IV (1336-1387)

16 ნავარის მეფე – ფილიპე III (1328-1843)

ინგლისის¹⁷ მეფეები; ბურგუნდიის, ბრეტანის, ლორენის, ბრაბანტის ჰერცოგები; გენუელები და ვენეციელები; სასულიერო პირები: იერუსალიმის პატრიარქი,¹⁸ ჰოსპიტალიერთა ორდენის წარმომადგენლები, კარდინალები;¹⁹ სავოიის, არმანიაკის და ფორეზის გრაფები; ვიენისა და ოვერნის დოფინები, ფილიპე ვალუას ძმა – შარლ ალანსონელი და სხვები. ამ წამოწყებაში ჩაბმული გახლდათ დაახლოებით 300 000 ჯვაროსანი. მობილიზებული უნდა ყოფილიყო მარსელის, ეგმორტის, ნარბონისა და მონპელიეს ფლოტები. ფლოტის მეთაურები უნდა ყოფილიყვნენ ნარბონის გრაფი და გენუელი კარლო გრიმალდი [ფრუასარი 2009:102].

ლაშქრობის დალოცვა ფილიპემ უკვე რომის პაპს, ბენედიქტე XII-ს (1334-1342) სთხოვა. ჯვარი მიიღეს: ფილიპე VI-მ, სიცილიის მეფემ, შარლ ალანსონელმა, სავოიის, არმანიაკის გრაფებმა, ვიენის დოფინმა, ბურბონელმა ჰერცოგმა, კარდინალებმა (ნეაპოლის, ოსტიის, მილანის, პერიგორის), კარლოს ბოჰემელმა, ნავარის მეფემ და პედრო არაგონელმა [ფრუასარი 2009:315].

როგორც ვხედავთ, ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მსურველთა შემადგენლობა საკმაოდ წარმომადგენლობითია: ევროპული სამეფოების მონარქები (კვიპროსის, სიცილიის, უნგრეთის, გერმანიის, ბოჰემიის, არაგონის, ინგლისის და სხვ.), დიდგვაროვნები, სასულიერო პირები, ქრისტიანული ევროპის ელიტის დიდი ნაწილი. ამ ჩამონათვალს აღმოსავლეთის ქვეყნებიც ემატება, კერძოდ, კილიკიის სომხეთი, საქართველო და მონღოლთა (ილხანთა) სამეფო [ტირმანი 1985:47].

ლაშქრობის წამოწყების მიზეზები

ჩვენთვის საინტერესო ჯვაროსნული ლაშქრობის არაერთი მიზეზი უნდა არსებობდეს. პირველ რიგში, ბუნებრივია, ეს არის ზოგადად, ჯვაროსნული ლაშქრობების მთავარი ამოცანა – წმინდა მიწის მაჰმადიანთაგან გამოხსნა (რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ), ამ შემთხვევაში, ეგვიპტის სულთნის, ან-ნასირ მუჰამედისგან.

ფრუასარის მიხედვით, ამ წამოწყების უფრო კონკრეტულ მიზეზად რასაც ქვეყნის დახმარება შეიძლება მივიჩნიოთ [ფრუასარი 2009:438]. უნა ფრუასარი მოგვითხრობს, რომ „ღვთის მტრებმა“ დაიპყრეს რასის სამეფოს დიდი ნაწილი, ტყვედ აიყვანეს და წამებით მოკ-

17 ინგლისის მეფე – ედუარდ III (1327-1377)

18 იერუსალიმის პატრიარქი – პეტრე პალუელი

19 ნეაპოლის კარდინალი – ანიბალ ჩეკანო; პერიგორის კარდინალი – ტალევრანი; ოსტიის კარდინალი – ბერტრან პოჟე; ბლანის კარდინალი – ალბანო

ლეს მისი ქრისტიანი მეფე. ამგვარმა შეურაცხყოფამ ალაშქვოთა პაპი ბენედიქტ XII და ფილიპე ვალუასა და არაგონის მეფეს მოუწოდა, ჯვარი მიეღოთ სარაცინთა წინააღმდეგ. ასევე პაპი შეჰპირდა ჯვაროსნებს ცოდვათა მიტევებას იმ შემთხვევაში, თუ ისინი მეფეს ლაშქრობაში გაჰყვებოდნენ [ფრუასარი 2009:437-439].

რასის სამეფოს ზოგიერთი მკვლევარი (მაგალითად, კ. დე ლეტენ-ჰოვე) სერბიასთან აიგივებს,²⁰ მაგრამ ამ პერიოდში თურქებს სერბია ჯერ არ აქვთ დაპყრობილი.

ზოგიერთი მკვლევარი კი თვლის, რომ რასის სამეფოში უნდა იგულისხმებოდეს სომხეთი, რადგან მისი ქალაქი აიასი (Ayas) ალ-ნასირმა სასტიკად ააოხრა, ხოლო სომხეთის მეფე – ლევონ IV (1320-1341) დახმარებას საფრანგეთსა და რომის პაპს სთხოვდა [გრუსე 1979:401]. უფრო დეტალურად განვიხილოთ სომხეთის ფაქტორი ამ ლაშქრობაში.

1322 წელს ეგვიპტელი მამლუქები შეიჭრნენ სომხეთში და აიღეს ქალაქი აიასი, ხოლო მისი ციხეები დაანგრეს. კვიპროსის მეფე ჰენრიხ II-მ სომხეთის დასახმარებლად ჯარი გაგზავნა, ხოლო სომხეთის კათოლიკოსი კონსტანტინე IV კაიროში გაემგზავრა და 1323 წელს სულთანთან 15-წლიანი ზავი გააფორმა. სომხეთის მეფემ დახმარებისათვის დასავლეთს მიმართა და ელჩები გაგზავნა რომის პაპთან. თავის მხრივ, ფილიპე ვალუა კილიკიის სომხეთს ახალ ჯვაროსნულ ლაშქრობაში მოკავშირედ მიიჩნევს, კილიკიას ის პლაცდარმად განიხილავს მოკავშირე ჯვაროსანთა ლაშქრის განსათავსებლად. 1332 წელს საკუთარი გეგმების შესახებ ფილიპე IV სომხეთის მეფეს სწერს, ასევე გამოყოფს 10 ათას ფლორინს სომხეთის ციხეების გასამაგრებლად. 1335-1337 წლებში მამლუქები სამჯერ შეესივნენ კილიკიის სომხეთს და სასტიკად ააოხრეს. ლეონ IV იძულებული შეიქნა, ზავი დაედო ეგვიპტის სულთანთან და მდინარე პირამოსის მარცხენა სანაპირო დაეთმო, ასევე მნიშვნელოვანი სავაჭრო და სამხედრო პორტი – აიასი [გრუსე 1979:401]. XIV საუკუნის 40-იან წლებში მაჰმადიანები კვლავ აოხრებენ კილიკიის სომხეთს. სომხეთი დახმარებას ისევ დასავლეთს სთხოვდა. პაპმა ბენედიქტ XII-მ 1341 წელს წერილი გაუგზავნა სომხეთის კათალიკოსს, ასევე ლევონ IV-ს და შეატყობინა მათ, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში დაეხმარებოდა, თუ სომხეთი კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადავიდოდა [შევალიე 2011:240-242].

ნიშანდობლივია, რომ ლევონს ცოლად ჰყავდა კონსტანცა არაგონელი (1305-1344), არაგონის მეფის ქალიშვილი, კვიპროსის მეფის

20 რასა – ქვეყანა თურქულ ევროპაში, ჩრდილოეთ სერბეთში. სახელი მიიღო მდინარიდან, მორავის შენაკადიდან. მთავარი ქალაქები – ბელგრადი, სემენდრა და გალომბაცი. სერბიას შუა საუკუნეებში Rascie მოიხსენიებდნენ [ფრუასარი 2009:582].

ქვრივი. არაგონის მეფე, კონსტანცას ძმა კი აღნიშნული ჯვაროსნული ლაშქრობის მონაწილეა. ასვე ფრანგული წყაროებიც საუბრობენ პაპისა და მეფის მხრიდან სომხეთის დახმარებაზე [ვიარი 1936:305-316].

ყოველივე ზომით აღნიშნულიდან გამომდინარე, აშკარაა კილიკიის სომხეთის მჭიდრო კავშირი ევროპელ ჯვაროსნებთან, ევროპული სახელმწიფოების (საფრანგეთის, არაგონის, სიცილიის მეფეებთან) ლიდერებთან. შესაბამისად, ჩვენი აზრით, რასაში კილიკიის სომხეთი უნდა იგულისხმებოდეს.

ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისი

1329 წელს კატალონია-არაგონის მეფე ალფონს III გადაწყვეტს გრანადის განთავისუფლებას და დახმარებას საფრანგეთის მეფეს სთხოვს. ფილიპე VI დახმარებას აღუთქვამს ალფონს III-ს [მირე ი სან-სი 1917:8-9]. თუმცა აღმოჩნდა, რომ კასტილიის მეფემ მოგვიანებით მაჰმადიანებთან ზავი დადო [ვიარი 1937:122-123]. ამ ამბავმა ფილიპე VI-ს გეზი შეაცვლეწინა და მან ესპანეთიდან აღმოსავლეთისკენ გადაინაცვლა.

იერუსალიმის პატრიარქმა ვერაფერს მიაღწია სულთანთან მოლაპარაკებისას. 1331 წლის 14 თებერვალს იგი პარიზში საფრანგეთის მეფეს ეახლა. პატრიარქმა მეფესა და დიდებულებს მოახსენა იმ უარყოფითი განწყობის შესახებ, რომელიც ეგვიპტის სულტნის კარზე ქრისტიანთა მიმართ არსებობდა. პაპმა მოუწოდა სასულიერო პირებს, ქადაგების დაწყება ჯვაროსნული ლაშქრობებისათვის [ვიარი 1937:130]. საფრანგეთის მეფის სათათბირომ გადაწყვიტა, რომ ჯვაროსნები ზღვით უნდა გამგზავრებულიყვნენ. ექსპედიციის დაფინანსება საეკლესიო მეთაუდისა და სხვა საეკლესიო გადასახადების ხარჯზე უნდა მომხდარიყო [ვიარი 1936:307-308].

1333 წლის 11 ნოემბერს პაპმა ფილიპე VI ლაშქრობის მეთაურად დაასახელა [კოვილი 1981:22]. დომინიკელმა ბერმა, გერმანელმა ბროკარმა ლათინურ ენაზე შექმნა ჯვაროსნული ლაშქრობის გეგმა, ხოლო ჟან დიუ ვინემ იგი ფრანგულად თარგმნა. გი დე ვიჟევანომ აღწერა ხიდები, გემები, იარაღი, რომელიც ლაშქრობისას უნდა გამოეყენებინათ [ფავიე 2006:491-493]. 1331 წლის 18 ნოემბრის წერილით ფილიპემ სთხოვა ვენეციის დოჟს გემებისა და მოსალოდნელი ხარჯების რაოდენობის განსაზღვრა [ვიარი 1936:308].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფილიპეს ასევე დახმარება სთხოვა სომხეთის მეფემ ლეონ IV-მ. ფილიპე ვალუამ 10 000 ოქროს ფლორინი გაუგზავნა ლეონს, რათა ჯვაროსნებს სომხეთზე გავლის საშუალება მისცემოდათ [ვიარი 1936:308]. მანამდე კი, 1322 წელს იოანე XXII-მ

30000 ფლორინი გაუგზავნა იერუსალიმის პატრიარქს სომხეთის დასახმარებლად [ფავიე 2006:491-493].

ფილიპე VI-ს ექსპედიცია მზად იყო 1332 წლის ივლისისათვის. 1332 წლის 2 ოქტომბერს ფილიპეს ვაჟის, იოანეს რაინდად კურთხევისას დიდებულებმა (ნავარისა და ბოჰემიის მეფეებმა, ბურგუნდიის ჰერცოგმა და სხვ.) ჯვარი მიიღეს [ვიარი 1936:309].

1333 წლის 1 ოქტომბერს სენ-ჟერმენ-დე-პრეს სააბატოში, პრეო-კლერში რუანის არქიეპისკოპოსმა პიერ როჟემ ოფიციალურად გამოაცხადა ჯვაროსნული ლაშქრობა. ამის შემდეგ მეფემ მიიღო ჯვარი, ასევე იერუსალიმის პატრიარქმა, ნავარის მეფემ – ფილიპემ, ბრაბანტის, ბურგუნდიის, ბურბონის ჰერცოგებმა და სხვ. ბრძანება გაიცა ჯვაროსნული ლაშქრობის შესახებ ქადაგების თაობაზე მთელ ქრისტიანულ სამყაროში. დაიგეგმა გამგზავრება 3 წელიწადში, 1336 წლის აგვისტოს თვეში.

1333 წლის 3 ნოემბერს ფილიპემ შეიტყო, რომ თურქებმა ააოხრეს დღევანდელი რუმინეთის ნაწილი, მაშინ იგი დაუკავშირდა ვენეციის დოჟს, ბიზანტიის იმპერატორს და ჰოსპიტალიერთა ორდენს. საფრანგეთის მეფე ასევე ცდილობდა ინგლისის ჩაბმას ამ ლაშქრობაში. მან გაგზავნა რაული და ჟან დე მარინი, ბოვეს ეპისკოპოსი, ინგლისის მეფესთან მოსალაპარაკებლად. 1334 წლის 19 სექტემბერს ედუარდ III-მ ჯვარი მიიღო და კენტერბერიის არქიეპისკოპოსი, ჯონ სტრეტფორდი საფრანგეთში ელჩად გამოგზავნა [ვიარი 1936:309].²¹

1334 წელს პაპობა აქტიურად იყო დაკავებული ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისით, საფრანგეთის მეფემ გენუელებს მიმართა დახმარებისათვის. ამასობაში, 1334 წლის 4 დეკემბერს, პაპი იოანე XXII გარდაიცვალა. საჭირო გახდა ახალი პაპის, ბენედიქტ XII-ის ჩაბმა ამ წამოწყებაში. ახალმა პაპმა, თავის მხრივ, ჩააბა სიცილიის მეფე, ჰოსპიტალიერები, ვენეციელები. ფილიპემ ლაშქრობის გენერლად ჰერცოგი ლუი დე ბურბონი დანიშნა [ვიარი 1936:309]. პარიზმა 40 000 ლივრი მოაგროვა ლაშქრობისათვის. დიდი ფრანგული ქრონიკების მიხედვით [ვიარი 1937:134], 1336 წლის მარტში ჯვაროსნები დაიძრნენ, მაგრამ პაპმა 1336 წლის 13 მარტის წერილით მეფეს შეყოვნება სთხოვა, რადგან ევროპაში ანარქია სუფევდა. ამას დამატა 1336 წლის 4 აგვისტოს ქარიშხალი ვენსენის ტყეში. მეფემ ჩათვალა, რომ ეს ნიშანი იყო – იგი დაგვიანებისათვის ისჯებოდა. მაშინ ფილიპემ ფლოტის მზადება დაიწყო. მაგრამ ამ დროს ასწლიანი ომი დაიწყო. მეფემ უარი

21 ინგლისის მეფის ელჩმა ფილიპე VI-ს გადასცა ედუარდი III-ის თხოვნა, არ დაეჭირათ მხარი შოტლანდიელებისათვის, რაზეც საფრანგეთის მეფემ უარით უპასუხა.

თქვა ჯვაროსნულ ლაშქრობაზე, თუმცა ფრუასარის მიხედვით, ფილიპე მზად იყო ამ ლაშქრობის დაწყებისათვის [ფრუასარი 2009:315].²²

ამ ისტორიული ლაშქრობის დათარიღებასთან დაკავშირებით ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ფილიპე ვალუას მიერ ჯვრის მიღების თარიღად 1333 წლის 1 ოქტომბერი (ან პარიზში ან პრე-ო-კლერში) მიიჩნევა [ვიარი 1936:310; კოვილი 1981:22].²³ ასევე არსებობს მოსაზრება, რომ ფილიპემ 1335 თუ 1336 წელს ავინიონში კვლავ მიიღო ჯვარი [ფავიე 2006:21].

ლაშქრობის ჩაშლის მიზეზი

ევროპული წყაროები და მკვლევრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ამ წამოწყების ჩაშლის მთავარი მიზეზი ინგლის-საფრანგეთის ასწლიანი ომის დაწყება გახდა [ვიარი 1936:315-316]. როგორც ჩანს, ლაშქრობის შეჩერებაში დიდი როლი რომის პაპმა შეასრულა, რომელიც ევროპაში შექმნილი დაძაბული ვითარებით იყო შემოფოთებული. 1336 წელს ფილიპე VI ავინიონში გაემგზავრა პაპ ბენედიქტის XII-ის სანახავად, მას თან ახლდა ნორმანდიის ჰერცოგი, ნავარისა და მაიორკის მეფეები. ჯვაროსნული ლაშქრობის დაწყება იმავე წლის 1 აგვისტოს იყო დაგეგმილი. მაგრამ პაპმა 13 მარტს მეფეს წერილი გაუგზავნა, რომ აღარ გამგზავრებულიყო:

ამ არეულ დროში, როდესაც მსოფლიოს ყველა კუთხეში ომებია, დიდხანს უნდა იფიქრო სანამ გადაწყვეტ. საქმის წამოწყება ძნელი არ არის, მაგრამ უნდა იცოდე, და ეს არის ფიქრისა და განსჯის საგანი, როგორ დასრულდება და რა შედეგს გამოიტანს ის. [კოვილი 1981:23]

პაპი ასევე წერდა, რომ ინგლისსა და შოტლანდიას შორის ვითარება დაიძაბა, გერმანიაშიც არეულობა იყო, ასევე ტოსკანა და აპულიაც ერთმანეთს დაუპირისპირდა, არც სიცილიაზე იყო სიმშვიდე.

22 ფრუასარის მიხედვით, ფილიპე ემზადებოდა ამ ლაშქრობისთვის, ზღვით უნდა ელაშქრა. სხვადასხვა პორტში: მარსელში, ეგმორტეში, ნარბონში და მონპელიესთან, დარაზმა გემები, გალერები, რათა გადაეყვანათ 40 ათასი ადამიანი სურსათით დატვირთული. ასევე ელჩები გაუგზავნეს უნგრეთის მეფეს თხოვნით, შეერთებოდა ამ წამოწყებას და ქვეყანაში მომლოცველებიც მიეღო. უნგრეთის მეფე დათანხმდა. შემდეგ ფილიპემ მიმართა კვიპროსის მეფეს, ჰუგო ლუზინიანელს, სიცილიის მეფეს, ასევე ვენეციელებს, რომ მათ საზღვრები გაეხსნათ. მეფემ საფრანგეთის დიდი პრიორი გაგზავნა როდოსის კუნძულზე, რათა იქ მოსამზადებელი სამუშაოები ჩაეტარებინა, წმ. იოანეს ორდენის რაინდებმა კავშირი შეკრეს ვენეციელებთან, იმისათვის, რომ კ. კანდოდან მიეღოთ პროდუქტი, რამდენადაც ეს კუნძული ვენეციას ეკუთვნოდა. ყველგან შეგროვდა საკმარისი მარაგი. ჯვარი 300 000-ზე მეტმა ქრისტიანმა მიიღო [ფრუასარი 2009:102].

23 თუმცა უ. რიშარი წერს, რომ ფილიპემ ჯვარი მიიღო 1331 წელს [რიშარი 210:485].

ასეთ ვითარებაში გაუმართლებელი იყო ჯვაროსნული ლაშქრობა, რადგან მტერი თავს წამოყოფს საფრანგეთის წინააღმდეგო [ვიარი 1936:314-316]. ეს პროგნოზი გამართლდა კიდეც, მალე ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასწლიანი ომი (1337-1453) დაიწყო. ძნელი სათქმელია, შედგებოდა თუ არა ეს ჯვაროსნული ლაშქრობა, ასწლიანი ომი რომ არ დაწყებულიყო. ერთი ფაქტია, ევროპული წყაროების მიხედვით ჩანს, რომ ამ ჯვაროსნულ ლაშქრობას უმაღლეს დონეზე ამზადებდნენ და მისი რეალიზაციაც ეფექტიანი შეიძლება ყოფილიყო.

საქართველო და ჯვაროსნული ლაშქრობა

გიორგი ბრწყინვალის პასუხმა ფილიპე ვალუასადმი ნათელი გახადა ის ფაქტი, რომ ევროპულ ქვეყნებს ზემოთ აღნიშნულ ჯვაროსნულ ლაშქრობაში ჩასაბმელად საქართველოს მეფისთვისაც მოუწოდებიათ: „საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ (საბრძოლველად), მაგრამ (საქმე ისაა, რომ) შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვებენ რა (ითრევენ რა, მათ (ე.ი. აღმოსავლეთის მეფეებს) ამ მტანჯველ ომში (მარტოდ). ამგვარად, (გთხოვთ) თქვენ დაადგინოთ (გადაწყვიტოთ), როგორ და როდის გადმოლაზავთ ზღვას და მყისვე მეც (იქ) მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად, 30 ათასი ჯარისკაცით“ [კიკნაძე 1983:158].²⁴ საქართველოს მეფეც მზადაა, უპასუხოს ამ გამოწვევას, თუმცა საქართველოს მეფე სამართლიანად საყვედურობს ფილიპე ვალუას ხშირად ევროპელთა მხრიდან ინიცირებული სამხედრო ექსპედიციების წამოწყებების გადაფიქრებასა თუ შემდგომ უარის თქმას [ტაიერმანი 1985:50].

მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა შემდეგი საკითხი: რამ განაპირობა ფილიპე ვალუას გადაწყვეტილება მაჰმადიანთა წინააღმდეგ წამოწყებულ ჯვაროსნულ ლაშქრობაში საქართველოს მონაწილეობის შესახებ?

პირველ რიგში, ევროპაში, მათ შორის, საფრანგეთშიც, იმ პერიოდში საქართველოს შესახებ ინფორმაცია უკვე არსებობდა. ჯერ კიდევ მეფსალმუნე ანსელუსი XII საუკუნის დასაწყისში [ავალიშვილი 1989:5-26], XIII საუკუნის დასაწყისში ჟაკ დე ვიტრი, სენ-ჟან დ'აკრის ეპისკოპოსი [თვარაძე 2004:141-142], ვინცენტ დე ბოვე [თვარაძე 2004:147] და ასევე ფართოდ გავრცელებული ლეგენდა იოანე პრესვიტერზე [ბადრიძე 1984:169] წარმოდგენას უქმნიდა ევროპელებს პა-

24 „Domini reges Franciae frequenter reges orientales commoverunt contra Sarracenos; postea non venientes eos dimittebant in tribulatione guerra. Sed dicatis sibi quod, quando mare transiverit, statum me videbit ad suum beneplacitum cum XXX milibus armatorum“ [გოლუბოვიჩი 1919:415].

ტარა ქრისტიანული, მაჰმადიანთა წინააღმდეგ მებრძოლი ქვეყნის, საქართველოს შესახებ. ამ ცნობების მიხედვით, ქართველები გამორჩეული მეომრები იყვნენ, რომლებიც უშიშრად უპირისპირდებოდნენ მაჰმადიანურ გარემოცვას [ბრინკენი 1973:125]. მეტიც 1108 წელს პარიზის ეპისკოპოს გალონისადმი მიწერილ წერილში იერუსალიმელი მეფსალმუნე ანსელუსი საქართველოს შესახებ წერს: „ამ ჯვარს დავით, მეფე ქართველთა, სანამ ცოცხალი იყო, უაღრეს თაყვანისცემას და სიყვარულს უძღვნიდა. ის დავით, რომელს, მისი წინაპრებისგან, კასპიის კარი – გოგსა და მაგოგს რომ ზღუდავს – ეჭირა და დარაჯობდა, რასაც შვილი მისი აქამომდე ასრულებს, ვისი ქვეყანა და სამეფო მედელთ და სპარსთა წინააღმდეგ ჩვენი, ასე ვთქვათ, წინა ბურჯია“ [ავალიშვილი 1989:17-18]. უკვე დე ვიტრის ცნობით, ქართველები კეთილმოშიში ქრისტიანები იყვნენ, რომლებიც შიშის ზარს სცემდნენ მუსლიმებს [თვარაძე 2004:141-142]. შესაბამისად, ამ პერიოდიდან დასავლეთ ევროპისათვის საქართველო მაჰმადიანთა წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საყრდენად განიხილებოდა.

უკვე XII საუკუნიდან საქართველო მჭიდრო კონტაქტშია ჯვაროსნებთან, დავით აღმაშენებლის ეპოქიდან დაწყებული ლაშა-გიორგის მეფობის დროით დასრულებული [ავალიშვილი 1989]. სავარაუდოა, დავით IV-სა და იერუსალიმის მეფე ბოლდუინ I-ს შორის გარკვეული ურთიერთობის არსებობა. ასევე თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ გადამწყვეტ ბრძოლაში ევროპელი ჯვაროსნის მონაწილეობა [ბადრიძე 1973]. ასევე აქტიურად მიმდინარეობდა მიმოწერა რომის პაპებსა და საქართველოს მეფეებს შორის რუსუდანის ეპოქიდან გიორგი ბრწყინვალის ეპოქის ჩათვლით [ავალიშვილი 1989; ბადრიძე 1973; მეტრეველი 1962]. საქართველოში მოქმედებდა კათოლიკური მისიები, ამის დასტურია აღმოსავლეთში კათოლიკური ცენტრის სმირნიდან თბილისში გადმოტანა [თამარაშვილი 1902:36].

ჩვენი კვლევის პერიოდის ისტორიულ კონტექსტში საქართველო, როგორც ჩანს, კვლავ საინტერესო ქვეყნად რჩება დასავლეთ ევროპელთათვის. ქართველები მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ მონღოლური ომების დროსაც. საქართველოს ლაშქარი შვიდი წელი იმყოფებოდა ცნობილი ალამუთის ომში, ასევე ქართველები მონაწილეობდნენ ბაღდადის აღებისას (1258) და მონღოლთა მიერ ეგვიპტის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში [ლომინაძე 1979:569]. მათი გამორჩეული სიმამაცე და ბრძოლისუნარიანობა ამ ომებშიც გამოვლინდა.

ცნობილია, რომ XIII საუკუნეში საფრანგეთი ცდილობს მონღოლებთან დაახლოვებას მამლუქთა სასულთნოს წინააღმდეგ [რიშარი 2010]. საფრანგეთის ინტერესი მამლუქთა წინააღმდეგ ილხანებთან

კავშირის დამყარების თაობაზე განსაკუთრებით აქტუალური გახდა ლუი IX წმინდანის მეფობის პერიოდში, კერძოდ, მეშვიდე ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ. მნიშვნელოვანია, რომ მაჰმადიანთა წინააღმდეგ დასავლეთ ევროპისა და მონღოლების ალიანსის შეკვრის კონტექსტში ქართველებიც ჩანან. კერძოდ, 1276 წელს, მონღოლთა მხრიდან დასავლეთში მოკავშირის ძიებისა და მამლუქთა სასულთნოს წინააღმდეგ ერთიანი ლაშქრის შექმნის მიზნით, აბალა ყაენი ევროპაში ქართველ ელჩებს, ძმებს იოანესა და იაკობს გზავნის [ნინიძე 1998:425]. ქართველმა ელჩებმა რომის პაპას აბალა ყაენის წერილი ჩაუტანეს (ნატროშვილი 1974:165-66] და გადასცეს მონღოლთა დიდი ყაენის ყუბულაის სურვილი მონღოლეთში კათოლიკე მისიონერების გამოგზავნის შესახებ. 1277 წელს კი ჩვენი ელჩები ასევე საფრანგეთის მეფე ფილიპე III-სა და ინგლისი მეფეს ედუარდ I-ს შეხვდნენ. ამ უკანასკნელთან აბალა ყაენმა ელჩებს მოზოდიშება დაავალა პალესტინაში ინგლისთან ერთად ჩაფიქრებული ერთიანი ოპერაციის შესრულებისას მონღოლთა მხრიდან პასიურობის გამოჩენის გამო. აბალას ელჩები ინგლისიდან რომში ჩადიან და პაპისაგან აბალასთვის გადასაცემ წერილებსაც ღებულობენ. მაგრამ ევროპაში განვითარებული რთული ვითარების გამო, ამ დიპლომატიურ მისიას შედეგი არ მოჰყოლია [ნატროშვილი 1974:168]. სავარაუდოა, რომ ქართველების მონაწილეობაზე საქართველოს მეფეს დემეტრე II-ს უნდა სცოდნოდა [ნინიძე 1998:426]. შესაბამისად, მამლუქთა წინააღმდეგ ილხანებთან მოკავშირეობის ძიებაში დასავლეთ ევროპისათვის საქართველო კვლავაც საინტერესო სახელმწიფოდ რჩებოდა.

პასუხი რომ გავცეთ ჩვენთვის საინტერესო შეკითხვას: რატომ უნდა მოხვედრილიყო საქართველო ევროპული სახელმწიფოების ინტერესის არეალში მოცემულ ისტორიულ კონტექსტში, უნდა გავითვალისწინოთ მრავალი ფაქტორი. პირველ რიგში, ფილიპე ვალუას მიერ დაგეგმილი ჯვაროსნული ლაშქრობა ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ უკავშირდებოდა სომხეთისა და კვიპროსის ფაქტორს. როგორც დავინახეთ, ამ ლაშქრობების ერთ-ერთი მიზანი ქრისტიანული სომხეთის დახმარება იყო. საქართველო, როგორც სომხეთის უახლოესი მეზობელი, სავარაუდოდ, მოექცეოდა ევროპელთა ინტერესის არეალში და სომხებიც მიაწვდიდნენ ევროპელებს ინფორმაციას საქართველოს შესახებ. გარდა ამისა, საქართველოს ამ პერიოდში უკვე აქვს კონტაქტები კვიპროსთანაც. აქ იყვნენ ქართველი მოღვაწეები, ჰქონდათ საკუთარი კოლონია ნიქოზიაში. XII-XIII საუკუნეებში კვიპროსზე უნდა დაარსებულიყო ქართული კულტურის მნიშვნელოვანი კერა ღალიას მონასტერი. როგორც სომხებს, ასევე კვიპროსელებს შეეძლოთ, მი-

ეწოდებინათ ევროპელთათვის ინფორმაცია საქართველოს შესახებ. დაბოლოს, სავარაუდოდ, ამას ემატება დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მონღოლებთან მოკავშირეობის მცდელობა ეგვიპტის სასულთნოს წინააღმდეგ, რაც, შესაძლოა, ფილიპე ვალუასთვის საკმარისი მიზეზი გამხდარიყო ჯვაროსნულ ლაშქრობაში ილხანთა ვასალური ქვეყნის, საქართველოს სახელმწიფოს ჩაბმისთვის.

ევროპული ისტორიული წყაროები და ისტორიოგრაფია არ გვაძლევს ინფორმაციას საქართველოს მონაწილეობის შესახებ ფილიპე ვალუას გვიანდელ ჯვაროსნულ ლაშქრობაში. დღეისათვის ჩვენ მხოლოდ ფრანცისკელთა არქივში აღმოჩენილი გიორგი ბრწყინვალის წერილი გვაქვს ხელთ. მიუხედავად ამისა, საქართველოს მონაწილეობის სურვილის გამორიცხვა ფილიპე ვალუას მიერ ინიცირებულ ლაშქრობაში მაინც არ შეიძლება. ჩვენ შევეცადეთ ფილიპე ვალუას მიერ ორგანიზებული გვიანდელი ჯვაროსნული ლაშქრობის სამზადისის ისტორიული კონტექსტი წარმოგვეჩინა. ვიმედოვნებთ, რომ შემდგომი კვლევები უფრო მეტ ინფორმაციას მოგვცემს ამ საკითხის შესახებ.

დამოწმებანი

ავალიშვილი 1989: ზურაბ ავალიშვილი, ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი), თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1989.

ავგუსტინე 1955: Augustin. De Civitate Dei, XIX, 7. Paris: B. Dombart et A. Kalb, 1955.

ბადრიძე 1973: შოთა ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, თბილისი, მეცნიერება, 1973.

ბადრიძე 1984: შოთა ბადრიძე, საქართველოს ურთიერთობები ბიზანტიასა და დასავლეთ ევროპასთან (X-XIII სს.), თბილისი, მეცნიერება, 1984.

ბრინკენი 1973: Anna Dorothee von den Brinken, Die "Nationes Christianorum Orientalium" im Verstandnis der lateinischen Historiographie (von der Mitte des 12. Bis in die Halfte des 14. Jahrhunderts), Koln, 1973.

გოლუბოვიჩი 1919: Girolamo Golubovich, Biblioteca Bio-Bibliografica della Terra Santa e dell'Oriente Francese; t. III (del 1300 al 1332), Quaracchi, Italy, Presso Firenze Collegio di Bonaventura, 1919.

გრუსე 1979: René Grousset, L'empire du Levant: histoire de la question d'Orient, Paris, Payot, 1979.

გურევიჩი 2003: А. Я. Гуревич (ред.) Словарь Средневековой Культуры, Москва, Российская Политическая Энциклопедия, 2003, 234-239.

- ვიარი 1936:** Jules Viard, “Les projets de croisade de Philippe VI de Valois”, *Bibliothèque École de Chartes*, №97, Paris, 1936, 305-316.
- ვიარი 1937:** Jules Viard (éd.), *Les Grandes Chroniques de France*, t. IX (1328-1350), Paris, 1937.
- თამარაშვილი 1902:** მიქელ თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, ტფილისი, 1902.
- თვარაძე 2004:** ალექსანდრე თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში: XII-XVI საუკუნეთა ისტორიოგრაფიული და კარტოგრაფიული მასალის საფუძველზე, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2004.
- კაზელი 1958:** Raymond Cazelles, *La société politique et la crise de la royauté sous Philippe de Valois*, Paris, 1958.
- კიკნაძე 1983:** ვაჟა კიკნაძე, „საქართველოს ისტორიის ევროპული წყაროები“, *მნათობი*, 1983, №4, 1983, 158-163.
- კოვილი 1981:** Alfred Coville, *Les premiers Valois et le début de la Guerre de Cent Ans (1328-1350)*, Paris, Hachette, 1981.
- ლომინაძე 1979:** ბაბილინა ლომინაძე, მონღოლთა ბატონობა საქართველოში და ბრძოლა მის წინააღმდეგ (XIII ს. 40 – XIV ს. 10-იანი წწ.), *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. III, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1979.
- ლუხი 1862:** Siméon Luce (pub.), *Chronique des quatre premiers Valois (1327-1393)*, Publiée pour la première fois pour la Société de l’histoire de France. Paris, Vve de J. Renouard, 1862.
- მალინინი 2005:** Хроники и документы времен столетней войны, под ред. Ю. П. Малинина, СПб., Издательство С.-Петербургского университета, 2005.
- მეტრეველი 1962:** ელენე მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI-XVII სს), თბილისი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.
- მირე ი სანსი 1917:** J. Miret y Sans, “Lettres closes des premiers Valois”, *Moyen Âge*, 2 série, t. XX, 1917, 8-9.
- ნატროშვილი 1974:** თამაზ ნატროშვილი, მაშრიყიდან მაღრიბამდე, თბილისი, განათლება, 1974.
- ნინიძე 1998:** დავით ნინიძე, ქართული დიპლომატია XIII საუკუნეში, *ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევები*, ნაწ. I, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1998.
- პერუა 1945:** Edouard Perroy, *La guerre de Cent ans*, Paris, Gallimard, 1945.
- რიშარი 1995:** Jean Richard, “L’église latine et les non-chrétiens hors de la chrétienté: croisades et missions”, *Histoire du Christianisme des origines à nos jours*, t. 6, Desclée-Fayard, 1995, 883-889.

- რიშარი 1998:** J. Richard, *La papauté et les missions d'Orient au Moyen Âge (XIII-XV)*, Rome: École Française de Rome, 1998. (XIII-XV), Rome, École Française de Rome, 1998.
- რიშარი 2010:** J. Richard, *Histoire des croisades*, Pluriel, Paris, 2010.
- ტაიერმანი 1985:** C. J. Tyerman, "Philipp VI and the Recovery of the Holy Land", *English Historical Review*, v.100, N 394, Jan. 1985, 25-52.
- ფავიე 2006:** J. Favier, *Les papes d'Avignon*, Paris, Fayard, 2006.
- ფლორი 1999:** Флори Ж. Идеология меча. Предыстория рыцарства. СПб., Евразия, 1999.
- ფრუასარი 2009:** Жан Фруассар, *Хроники 1325-1340*, Пер. и прим. М. В. Аникеева, СПб., Издательство СПбГУ, 2009.
- შევალე 2011:** Marie-Anne Chevalier, "Le rôle de la Papauté dans la politique arménienne des Hospitaliers au XIV siècle", *La papauté et les croisades: actes du VIIe Congrès de la Society for the Study of the Crusades and the Latin East; The papacy and the crusades: proceedings of the VIIth Conference of the Society for the Study of the Crusades and the Latin East / edited by Michel Balard*, 2011, 229-242.

Georgia and Western Europe at the Beginning of the 14th Century (The Later Crusades)

Keywords: Later Crusades, Georgian-European relationships, George V the Brilliant, Philippe VI de Valois

Relations between Georgia and Europe had become especially interesting in the high Middle Ages when Christian Georgia and Western Europe united in the fight against the Muslim East. On the one hand, Georgia, oppressed by Muslims, sought assistance in Western European countries while Christian Europe also considered Georgia an ally against the Islamic East.

Crusades initiated by Western European countries in the Near East at the end of the 11th century had ended by the turn of the 13th century. Later, in the 14th-15th centuries, European Christians made efforts to establish coalitions against Muslims and organise Crusades; these were subsequently referred to as the later Crusades.

One of such coalitions was discussed in the letter (a reply) by the Georgian King, George V the Brilliant (1314-1346) to the King of France, Philippe VI de Valois (1328-1350). Georgian scholars learnt of this letter from the publication by Vaja Kiknadze [Kiknadze 1983:158-163], in which the author presents the letter by George V the Brilliant discovered while exploring a Franciscan archive and published by J. Golubovich [Golubovich 1919:414-415]. A distinguished scholar of the Crusade epoch, Jean Richard, also refers to the same source [Richard 1998:54].

Which historical fact does this letter by George V the Brilliant refer to? The fact discussed in the letter is the decision of Philippe de Valois regarding the organisation of a Crusade against the Egyptian Sultan Mohammed An-Nasir (1292-1340).¹ Philippe considered Abu Sa'id (1317-1335)², Khan of the Ilkhanate and the King of Georgia, George V to be his allies in the East.

1 Mameluke Sultan of Egypt who had ascended the throne of Egypt three times: in 1293-1294; 1299-1309; 1309-1334.

2 He was the representative of the Hulagu dynasty.

